

შპს კანტი

ფინანსური ანგარიშგება

*2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შპს კანტი
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	1-3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	8-30



FINANCIAL OFFICE
ACCOUNTING & ADVISORY

A member of



Independent legal & accounting firms

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს კანტის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს კანტის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). ჩვენს მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკურ და სხვა მოთხოვნებს. შესაბამისად, ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

კომპანიის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ზედამხედველობა გაუწიოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძველიანი რწმუნებულება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძველიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ გაკეთებულ პროგნოზებსა და მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ აღმოვაჩენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომებით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადექვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე,

- რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
 - ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის გაურკვევლობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ექვეყნე დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენს მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
 - ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარდგენის პრინციპს.

სხვა საკითხთა შორის, ჩვენ კომპანიის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს და აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის ნინო სამხარაძე.

ნინო სამხარაძე (რეგ. № SARAS-A-425114)

შპს „ფინანსური ოფისის“ სახელით (რეგ. № SARAS-F-802337)

22 ივლისი 2019 წ.

რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის გაურკვეველობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვეველობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენს მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარდგენის პრინციპს.

სხვა საკითხთა შორის, ჩვენ კომპანიის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს და აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის ნინო სამხარაძე.

ნინო სამხარაძე

ნინო სამხარაძე (რეგ. № SARAS-A-425114)

შპს „ფინანსური ოფისის“ სახელით (რეგ. № SARAS-F-802337)

22 ივლისი 2019 წ.

შპს კანტი
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი რეალიზაციიდან	4	41,462	46,059
რეალიზაციის თვითღირებულება	5	(29,131)	(31,363)
საერთო მოგება		12,331	14,696
სხვა საოპერაციო შემოსავლები	6	2,113	2,687
დისტრიბუციის და რეალიზაციის ხარჯები	7	(9,967)	(10,101)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,458)	(1,515)
საექვო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	9,15,22	(300)	(1,605)
წუნდებული მარაგების ჩამოწერა		(235)	(398)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		2,484	3,764
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	10	520	668
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები	10	(759)	(909)
კურსთა შორისი წმინდა მოგება(ზარალი)		(145)	100
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		2,100	3,623
მოგების გადასახადის სარგებელი (ხარჯი)	11	-	-
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		2,100	3,623

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 22 ივლისს.

ალეკო ხომერიკი

დირექტორი

ნათია ვაწაძე

ფინანსური მენეჯერი

8-30 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს კანტი
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი რეალიზაციიდან	4	41,462	46,059
რეალიზაციის თვითღირებულება	5	(29,131)	(31,363)
საერთო მოგება		12,331	14,696
სხვა საოპერაციო შემოსავლები	6	2,113	2,687
დისტრიბუციის და რეალიზაციის ხარჯები	7	(9,967)	(10,101)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,458)	(1,515)
საექვო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	9,15,22	(300)	(1,605)
წუნდებული მარაგების ჩამოწერა		(235)	(398)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		2,484	3,764
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	10	520	668
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები	10	(759)	(909)
კურსთა შორისი წმინდა მოგება(ზარალი)		(145)	100
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		2,100	3,623
მოგების გადასახადის სარგებელი (ხარჯი)	11	-	-
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		2,100	3,623

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 22 ივლისს.

ალეკო ხომერიკი
დირექტორი



ნათია ვაწაძე
ფინანსური მენეჯერი

8-30 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს კანტი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	2,813	2,802
არამატერიალური აქტივები	13	109	129
გაცემული სესხები	14	2,657	2,637
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,579	5,568
მოკლევადიანი აქტივები			
გაცემული სესხები	14	1,538	2,075
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	8,739	10,623
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	16	3,900	3,638
ფულადი სახსრები	17	768	803
სულ მოკლევადიანი აქტივები		14,945	17,139
სულ აქტივები		20,524	22,707
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	18	2	2
დამატებით შეტანილი კაპიტალი	18	1,179	1,179
გაუნაწილებელი მოგება	18	4,459	6,205
სულ კაპიტალი		5,640	7,386
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	19	2,009	4,694
გადავადებული გადასახადი	11	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,009	4,428
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	19	5,505	1,801
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	6,607	7,831
საგადასახადო ვალდებულებები	21	763	995
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		12,875	10,627
სულ ვალდებულებები		14,884	15,321
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		20,524	22,707

8-30 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს კანტი
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2017	2	1,179	7,180	8,361
წლის მოგება და მ.ს.შ. დივიდენდები			3,623 (4,598)	3,623 (4,598)
31 დეკემბერი 2017	2	1,179	6,205	7,386
წლის მოგება და მ.ს.შ. დივიდენდები			2,100 (3,846)	2,100 (3,846)
31 დეკემბერი 2018	2	1,179	4,459	5,640

დამატებითი ინფორმაცია კაპიტალის შესახებ მოცემულია 3.10 და 18 შენიშვნებში.

8-30 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს კანტი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		2,100	3,623
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	12,13	566	601
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	6	(119)	(50)
გადავადებული გადასახადი	11	-	-
საპროცენტო შემოსავალი	10	(520)	(668)
საპროცენტო ხარჯი	10	759	909
<i>შედეგი საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე</i>		<u>2,786</u>	<u>4,415</u>
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		1,884	2,010
ცვლილებები მარაგებში		(262)	1,574
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(1,224)	1,004
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში		(232)	(440)
<i>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>		<u>2,952</u>	<u>8,563</u>
გადახდილი პროცენტი	19	(746)	(895)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		<u>2,206</u>	<u>7,668</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
სესხების გაცემა	14	-	-
გაცემული სესხების მიღება	14	480	1,068
პროცენტის მიღება	14	557	105
ძირითადი საშუალებების შეძენა		(949)	(943)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(103)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		511	483
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		<u>599</u>	<u>610</u>
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების მიღება	19	7,752	1,757
სესხების გადახდა	19	(6,733)	(4,693)
დივიდენდების გადახდა		(3,846)	(4,598)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		<u>(2,827)</u>	<u>(7,534)</u>
ფულადი ნაკადების წმინდა ზრდა/(კლება) პერიოდში		<u>(22)</u>	<u>(744)</u>
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	17	803	100
ფულის წმინდა ზრდა/(კლება) პერიოდში		(22)	744
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულზე		(13)	(41)
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	17	<u>768</u>	<u>803</u>

8-30 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს კანტი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

1. ზოგადი ინფორმაცია „კომპანიის“ შესახებ

შპს კანტი (ს/კ: 200140267) რეგისტრირებულია საქართველოში 2005 წლიდან. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, შანდორ პეტეფის ქუჩა N4.

კომპანიის მფლობელები არიან: ალექო ხომერიკი (65%) და ნინო მამულაშვილი (35%).

ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სხვადასხვა საკვები პროდუქტების, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, რძის პროდუქტების, საკონდიტრო და სხვა პროდუქციის საზღვარგარეთიდან საქართველოში იმპორტი (ასევე ადგილობრივი შესყიდვებიც) და მათი საბითუმო რეალიზაცია.

სასაწყობო ინფრასტრუქტურის გამოყენებით ხორციელდება პროდუქციის შენახვა, ხოლო შემდგომ მათი დისტრიბუცია სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებზე სადისტრიბუციო მანქანების მეშვეობით.

2. მომზადების საფუძვლები

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ მე-3 შენიშვნაში.

კომპანიისათვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება არის ფასს-ის მიხედვით მომზადებული მეორე ფინანსური ანგარიშგება.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადექვატურობის შეფასებისას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

2.3 ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. რიცხვები დამრგვალებულია უახლოეს ათასებამდე ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ების შესაბამისად, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. ხელმძღვანელობის შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მოლოდინებს მომავალთან დაკავშირებით, თუმცა ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის ახლანდელი დაშვებებისგან და მომავალში შესაძლოა შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო რაც არ ექვემდებარება კომპანიის პირდაპირ კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება დადგომისთანავე.

გაკეთებული მნიშვნელოვანი დაშვებები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

კომპანია ანგარიშგების თარიღისათვის აფასებს ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებული პოლიტიკა განხილულია მე-3 და 22-ე შენიშვნებში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გაითვალისწინა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც რელევანტურია კომპანიის ოპერაციებისთვის და გამოსაყენებლად ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის, კერძოდ: *ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“* და *ფასს 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“*.

ფასს 9-ის მიღებამ არ გამოიწვია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების, კლასიფიკაციისა და შეფასების, აგრეთვე, ფინანსური აქტივების გაუფასურების პოლიტიკების არსებითი ცვლილება.

ფასს 15-ის გამოყენებას კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის მოცულობაზე ან მიღების დროზე და კომპანიის მიერ აღიარებულ შესაბამის აქტივებსა და ვალდებულებებზე არ უმოქმედია.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, კომპანიამ გადაწყვიტა არ გადაეფასებინა წინა წლის შესადარისი რიცხვები.

კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული, კერძოდ: *ფასს 16 „იჯარა“*.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 აღრიცხვის საფუძვლები

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული (პირვანდელი) ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში. ისტორიული (პირვანდელი) ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ საოპერაციო რეჟიმში;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული (პირვანდელი) ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.3 შემოსავლების აღიარება

ყველა შემოსავლის აღიარება ხორციელდება დარიცხვის მეთოდით, იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

კომპანია შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს აანალიზებს შესაბამისი კრიტერიუმებით, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალად გამოდის თუ პრინციპალის აგენტ მხარედ. კომპანიამ დაადგინა, რომ ძირითადად იგი მოქმედებს პრინციპალის სახით შემოსავლებთან დაკავშირებულ უმეტეს შეთანხმებაში.

შემოსავლების აღიარება მათის სახეობების მიხედვით ხორციელდება შემდეგნაირად:

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაირთვება უკან დაბრუნებები და ფასდათმობები.

შემოსავალი აღიარდება მაშინ როდესაც:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადავიდა მყიდველზე;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შესაძლებელია შემოსავლის და მასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ შეფასება;

შემოსავალი რეტრო ბონუსებიდან და მომსახურებიდან

შემოსავალი რეტრო ბონუსებიდან (ქემ-ბექ) განისაზღვრება შესაბამის ხელშეკრულებებში განსაზღვრული პროდუქციის მიზნობრივი სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრული პროცენტის უკან დაბრუნების ე.წ. ქემ-ბექის სახით. შემოსავლად აღიარდება მას შემდეგ რაც მოხდება მხარეთა შორის გეგმად დასახული სარეალიზაციო პროდუქციის ღირებულების ოდენობის დადასტურება ფაქტობრივად რეალიზებული პროდუქციის ღირებულების მიხედვით.

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ჩაბარებული მხარეთა მიერ. სხვადასხვა სახის მომსახურება რომელსაც კომპანია ეწევა, დეტალურად არის მოცემული მე-6 შენიშვნაში.

შემოსავალი პროცენტებიდან

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც სესხის ვადის განმავლობაში მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებს ადისკონტირებს ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

3.4 იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, როდესაც კომპანიას აქვს ისეთი საიჯარო ხელშეკრულება რომლის მიხედვიდაც აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს, მაშინ გარიგება ითვლება ფინანსურ იჯარად, სხვა დანარჩენ შემთხვევებში საოპერაციო იჯარად.

კომპანიის საიჯარო ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, გარიგება კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. შესაბამისად, კომპანიის იჯარით აღებულ ქონებაზე გადასახდელები აღიარებულია ხარჯებად შესაბამისი წლის მოგება-ზარალში.

3.5 ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტობრივ ხარჯებზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს, შესყიდვის არაანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას და დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად განთავსებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულებით) დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული დანახარჯები აღიარდება ძირითად საშუალებად და აღირიცხება ცალკე. იჯარაზე კაპიტალიზირებული ხარჯები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადასა და შესაბამის საიჯარო ხელშეკრულების ვადას შორის უმცირესის მიხედვით.

ცვეთა

ფასს-ის მიზნებისთვის, ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მისაღები სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც აქტივი მზად არის გამოყენებისთვის და ერიცხება სარგებლობაში არსებული ვადის პროპორციულად.

საჭიროების შემთხვევაში, ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება.

ცვეთის დარიცხვის საპროცენტო განაკვეთები შემდეგია:

სამაცივრე და სხვა შემნახველი საშუალებები	15-20%
სატრანსპორტო საშუალებები	20-25%
სარეკლამო საშუალებები	20%
საოფისე ინვენტარი	20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15%

აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

3.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება ფასს-ის მიზნებისთვის წარმოებს შემცირებადი ნაშთის მეთოდის საფუძველზე მათი სარგებლობის ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, დაშვებებში ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის საპროცენტო განაკვეთები შემდეგია:

ლიცენზიები	15%
პროგრამული უზრუნველყოფა	15%

3.7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები თავდაპირველი აღიარების დროს ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე ტრანსპორტირების, საბაჟოს, და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა „ფიფო“ ღირებულების პრინციპს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარაგი აისახება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების აღსარიცხად ითვალისწინებს ფასს 9-ის მოთხოვნებს.

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აგრეთვე ემატება ტრანზაქციის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების დაფარვიდან შეფასების თარიღისთვის ბაზრის დამოუკიდებელ მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს. სამართლიანი ღირებულების შეფასება საჭიროა იმ თანხის დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი კომპეტენტურ თანახმა მხარეებს შორის კომერციული გარიგების დროს. მაგრამ, განუსაზღვრელობებისა და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების დაფარვით.

კომპანიამ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა არსებული საბაზრო ინფორმაციისა და შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით. თუმცა, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისა და სამართლიანი ღირებულების დასადგენად გარკვეული განსჯაა საჭირო.

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ფულადი სახსრების, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება დიდწილად ტოლია მათი საბალანსო ღირებულების, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო;
- გრძელვადიანი პროცენტიანი სესხების სამართლიანი ღირებულება ფასდება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით, ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო განაკვეთებით, რომელთა სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი საბალანსო ღირებულების.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი წილი გადადის მესამე მხარეზე.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური ნიშნები ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“), და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ მომავალ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ შეფასებაც შესაძლებელია.

გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე ან მევალეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს შესაბამისი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული თანხების ხანდაზმულობებში, ეკონომიკურ პირობებში რომლებიც ურთიერთქმედებაშია ვალდებულებების შეუსრულებლობასთან, და ა.შ.

ფასს 9 არაფინანსურ ინსტიტუტებს უფლებას აძლევს, რომ სავაჭრო და იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანებისთვის გამარტივებული მეთოდი გამოიყენონ. ასეთ შემთხვევაში, საჭირო აღარაა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა და ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის ზრდაზე დაკვირვება. ამის ნაცვლად, საწარმომ უნდა შეაფასოს აქტივის მთელი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანიამ თავისი მოკლევადიანი და გრძელვადიანი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისთვის გამარტივებული მიდგომა აირჩია.

კომპანია ინდივიდუალურად აფასებს გაცემული სესხების გაუფასურებას, ხოლო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს ჯგუფურად (კოლექტიურად).

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფულადი სახსრების მომავალი შეფასებული ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. სავარაუდო სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

აქტივების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საშუალებით, ხოლო ზარალის თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალში. საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა გრძელდება შემცირებულ საბალანსო ღირებულებაზე იმ განაკვეთით, რომელიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გაუფასურების ზარალის შესაფასებლად.

სესხები და მისაღები დებიტორები მათთან დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს, უზრუნველყოფის ყველა საგანი რეალიზებული ან გადაცემულია კომპანიისთვის. თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული

ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომ დამდგარი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ ჩამოწერების ამოღება მომავალში მოხერხდა, იგი აისახება მოგება-ზარალში ფინანსური საქმიანობის ნაწილში.

3.9 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში კომპანია განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის აქტივების დაჯგუფება ხდება ინდივიდუალურად და/ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების დონეზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

3.10 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში) ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა და აკლდება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშს.

4. შემოსავალი რეალიზაციიდან

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	2018	2017
შემოსავალი საბითუმო რეალიზაციიდან	40,744	45,757
შემოსავალი საცალო რეალიზაციიდან	718	417
	41,462	46,059

5. რეალიზაციის თვითღირებულება

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	2018	2017
საბითუმო რეალიზაციის თვითღირებულება	28,719	31,104
საცალო რეალიზაციის თვითღირებულება	412	259
	29,131	31,363

6. სხვა საოპერაციო შემოსავლები

(ათასობით ლარში_ '000 GEL)	2018	2017
შემოსავალი რეტრო ბონუსებიდან (ქეშ-ბეკი)	724	1,513
შემოსავალი სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურებიდან	574	362
შემოსავალი საშუამავლო ოპერაციებიდან	442	438
შემოსავალი ქვე-იჯარიდან	171	244
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	119	50
შემოსავალი სადაზღვევო ზარალის ანაზღაურებიდან	14	6
სხვადასხვა შემოსავალი	69	74
	2,113	2,687

7. დისტრიბუციის და რეალიზაციის ხარჯები

(ათასობით ლარში_ '000 GEL)	2018	2017
სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯები	4,421	4,843
შრომის ანაზღაურება	3,183	2,986
სატრანსპორტო დანახარჯები	1,283	1,018
ცვეთა	516	544
საიჯარო ქირა	441	603
მარაგების და ტრანსპორტირების დაზღვევა	91	86
სხვადასხვა ხარჯი	32	21
	9,967	10,101

8. ადმინისტრაციული ხარჯები

(ათასობით ლარში_ '000 GEL)	2018	2017
შრომის ანაზღაურება	796	761
საოფისე ხარჯები	212	199
მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯები	74	101
ცვეთა და ამორტიზაცია	50	57
ბანკის საკომისიო	46	41
საიჯარო ქირა	40	126
სხვა საგადასახადო ხარჯები	27	28
ჯარიმები და საურავები	25	46
სხვადასხვა ხარჯი	188	156
	1,458	1,515

9. საექვო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი

2018 და 2017 წლებში ანარიცხებისა და რეზერვების მოძრაობის ანალიზი შემდეგია:

<i>(ათასობით ლარში_ '000 GEL)</i>	2018	2017
<i>სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:</i>		
საწყისი ნაშთი	1,605	-
დამატებითი დანარიცხები	300	1,605
შებრუნება	-	-
საბოლოო ნაშთი	1,905	1,605

ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის შესახებ მოცემულია შენიშვნა 22-ში.

10. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

<i>(ათასობით ლარში_ '000 GEL)</i>	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	520	668
საპროცენტო ხარჯი მიღებული სესხებიდან	(759)	(909)
წმინდა ფინანსური ზარალი	(239)	(241)

11. მოგების გადასახადის სარგებელი-ხარჯი

<i>(ათასობით ლარში_ '000 GEL)</i>	2018	2017
დარიცხული მიმდინარე გადასახადი	-	-
შებრუნებული გადავადებული გადასახადი	-	-
	-	-

2016 წლის მაისში საქართველოს საგადასახადო კანონში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა (ეს თარიღი შემდგომში გადავადდა 2023 წლამდე).

ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად.

დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ მთლიანად შეაბრუნა თავისი გადავადებული გადასახადი ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეეფასებინა 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებს გაუნაწილებელ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, მოგების გადასახადის არა ახალი რეჟიმით დაბეგვრადი ურთიერთდამოკიდებულ პირთან არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

12. ძირითადი საშუალებები

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	სამაცივ რე და სხვა შემნახვ ელი საშუალ ებები	სატრანს პორტო საშუალე ბები	სარეკლ ამო საშუალ ებები	საოფისე ინვენტა რი	იჯარით აღებული ქონების კეთილმო წყობა	სულ
ისტორიული ღირებულება						
1 იანვარი 2017	2,651	1,463	509	354	210	5,187
შესყიდვა	2,060	1	291	6	-	2,358
გასხვისება და ჩამოწერა	(1,848)	-	-	(2)	-	(1,850)
31 დეკემბერი 2017	2,863	1,464	800	358	210	5,695
შესყიდვა*	482	78	82	256	51	949
გასხვისება და ჩამოწერა*	(243)	(114)	(4)	(220)	(137)	(718)
31 დეკემბერი 2018	3,102	1,428	878	394	124	5,926
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი 2017	1,224	712	107	169	101	2,313
ცვეთის დარიცხვა	292	154	82	38	16	582
ცვეთის ჩამოწერა	(1)	-	-	(1)	-	(2)
31 დეკემბერი 2017	1,515	866	189	206	117	2,893
ცვეთის დარიცხვა	262	117	119	30	18	546
ცვეთის ჩამოწერა	(155)	(70)	(2)	(53)	(46)	(326)
31 დეკემბერი 2018	1,622	913	306	183	89	3,113
წმინდა საბალანსო ღირებულება						
1 იანვარი 2017	1,427	751	402	185	109	2,874
31 დეკემბერი 2017	1,348	598	611	152	93	2,802
31 დეკემბერი 2018	1,480	515	572	211	35	2,813

* 2018 წელს, შეთანხმების საფუძველზე, ერთ-ერთი დებიტორული დავალიანების სანაცვლოდ კომპანიის გადმოეცა 237 ათასი ლარის ღირებულების უძრავი ქონება რომელთა ექსპლუატაცია არ განხორციელდა კომპანიის საოპერაციო საქმიანობისთვის და იმავე წელს მალევე მოხდა მისი რეალიზაცია. სარგებლობაში არსებული მოკლე პერიოდის და აქტივის ღირებულების გათვალისწინებით, აღნიშნული აქტივის კუთვნილი ცვეთა არაარსებითია. შესაბამისად, ხსენებული ძირითადი საშუალება არ დაექვემდებარა ცვეთის დარიცხვას მისი არაარსებობის გამო.

13. არამატერიალური აქტივები
(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	პროგრამული		
	ლიცენზიები	უზრუნველყოფა	სულ
ისტორიული ღირებულება			
1 იანვარი 2017	-	101	101
შესყიდვა	90	13	103
გასხვისება და ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2017	90	114	204
შესყიდვა	-	-	-
გასხვისება და ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2018	90	114	204
დაგროვილი ამორტიზაცია			
1 იანვარი 2017	-	56	56
ამორტიზაციის დარიცხვა	11	8	19
ამორტიზაციის ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2017	11	64	75
ამორტიზაციის დარიცხვა	12	8	20
ამორტიზაციის ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2018	23	72	95
წმინდა საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი 2017	-	45	45
31 დეკემბერი 2017	79	50	129
31 დეკემბერი 2018	67	42	109

14. გაცემული სესხები

ეს შენიშვნა მოიცავს ინფორმაციას სახელმწიფო პირობებზე კომპანიის ფიქსირებულ პროცენტთან სასესხო აქტივებზე. სესხები მოცემულია საბალანსო ღირებულებით რომლებიც უტოლდება სამართლიან (ამორტიზებულ) ღირებულებას რადგან დისკონტირების გავლენა უმნიშვნელოა.

(ათასობით ლარში_ '000 GEL)	31.12.2018	31.12.2017
გრძელვადიანი კომპონენტი:		
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხები	2,657	2,637
სულ გრძელვადიანი სესხები	2,657	2,637
მოკლევადიანი კომპონენტი:		
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხები	1,538	2,075
სულ მოკლევადიანი სესხები	1,538	2,075
სულ სესხები	4,195	4,712

სესხები გაიცა კომპანიის თანადამფუძნებელზე და დირექტორზე ბატონ ალექო ხომერიკზე. სესხები გაცემულია გირაოსა და იპოთეკის გარეშე. ძირითადი და პროცენტის გადახდა წარმოებს რეგულარულად წლის განმავლობაში. სხვა ძირითადი პირობები შემდეგია:

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

მსესხებელი	ვალუტა	პროცენტი	დაფარვის ვადა	31.12.2018	31.12.2017
ალექო ხომერიკი	ლარი	15%	2020	2,422	3,136
ალექო ხომერიკი	ლარი	15%	2021	1,773	1,576
				4,195	4,712

სესხებთან დაკავშირებული თანხების მოძრაობა 2018 და 2017 წლებში იყო შემდეგი:

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	2018	2017
საწყისი ნაშთი_1 იანვარი	4,712	5,217
სესხების გაცემა	-	-
პროცენტის დარიცხვა	520	668
ძირითადი გადახდა	(480)	(1,068)
პროცენტის გადახდა	(557)	(105)
საბოლოო ნაშთი_31 დეკემბერი	4,195	4,712

ინფორმაცია გაცემულ სესხებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის შესახებ მოცემულია შენიშვნა 22-ში.

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	31.12.2018	31.12.2017
სავაჭრო მოთხოვნები	10,535	11,817
სხვა მოთხოვნები	110	411
საექვო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი**	(1,906)	(1,605)
	8,739	10,623

** ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის შესახებ მოცემულია შენიშვნა 22-ში.

16. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	31.12.2018	31.12.2017
ძირითადი სარეალიზაციო საქონელი	3,023	2,490
სარეკლამო საქონელი	863	941
ტარა და შესაფუთი მასალები	9	204
საწვავ-საპოხი მასალები	5	3
	3,900	3,638

17. ფულადი სახსრები

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	31.12.2018	31.12.2017
ფული რეზიდენტ ბანკში	431	636
ფული სალაროში	337	167
	768	803

ინფორმაცია ფულად სახსრებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის შესახებ მოცემულია შენიშვნა 22-ში.

18. კაპიტალი

(i) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შესაბამისად. დამფუძნებლებს შორის წილობრივი გადანაწილება პერიოდების მიხედვით არის შემდეგი:

	31.12.2018	31.12.2017
ალეკო ხომერიკი	65%	65%
ნინო მამულაშვილი	35%	35%
	100%	100%

(ii) დამატებით შეტანილი კაპიტალი

დამატებით შეტანილი კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლების მიერ შეტანილ ფულად სახსრებს კომპანიის კაპიტალში, რომელიც გამოყენებულ იქნა ძირითადი საშუალებების შესაძენად.

(iii) გაუნაწილებელი მოგება და დივიდენდები

კომპანიის გაუნაწილებელი მოგება შეზღუდულია დივიდენდებზე განაწილებისგან იმ ოდენობის ფარგლებში რომელიც ასახულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებში. დივიდენდები გაიცემა პერიოდულობით, გამომუშავებული მოგების გათვალისწინებით და ხორციელდება დარიცხვა მასთან დაკავშირებული გადასახადების ჩათვლით. დამატებითი ინფორმაცია გაუნაწილებელი მოგებისა და დივიდენდების თანხების მოძრაობის შესახებ იხილეთ კაპიტალის ცვლილებების ანგარიშში.

19. სასესხო ვალდებულებები

ეს შენიშვნა მოიცავს ინფორმაციას სახელშეკრულებო პირობებზე კომპანიის ფიქსირებულ პროცენტთან სასესხო ვალდებულებებზე. სესხები მოცემულია საბალანსო ღირებულებით რომლებიც უტოლდება სამართლიან (ამორტიზებულ) ღირებულებას რადგან დისკონტირების გავლენა არ არის არსებითი.

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	31.12.2018	31.12.2017
გრძელვადიანი კომპონენტი:		
სესხები საბანკო დაწესებულებიდან	609	3,330
სესხები ფიზიკური პირებისგან	1,400	1,364
სულ გრძელვადიანი სესხები	2,009	4,694
მოკლევადიანი კომპონენტი:		
სესხები საბანკო დაწესებულებიდან	5,487	1,783
სესხები ფიზიკური პირებისგან	18	18
სულ მოკლევადიანი სესხები	5,505	1,801
სულ სესხები	7,514	6,495

სესხები მიღებულია სუბიექტებისგან რომლებიც არ არიან კომპანიის დაკავშირებული მხარეები. მოცემული სესხებიდან მხოლოდ საბანკო სესხებია უზრუნველყოფილი კომპანიის ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებებით (31.12.2018: 515 ათასი ლარი) და დამფუძნებლების თავდებობებით. სხვა ძირითადი პირობები შემდეგია:

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

გამსესხებელი	ვალუტა	პროცენტი	დაფარვის ვადა	31.12.2018	31.12.2017
ვითიბი ბანკი	ლარი	11.5%	2019-2020	6,096	4,980
ვითიბი ბანკი	დოლარი	8.5%	2018	-	133
გოჩა მაცაბერიძე	დოლარი	15%	2020	1,357	1,315
ევგენი ევრაევი	ევრო	18%	2020	61	67
				7,514	6,495

სესხებთან დაკავშირებული თანხების მოძრაობა 2018 და 2017 წლებში იყო შემდეგი:

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	2018	2017
საწყისი ნაშთი_1 იანვარი	6,495	9,458
სესხების აღება	7,752	1,757
პროცენტის დარიცხვა	745	895
ძირი თანხის გადახდა	(6,733)	(4,693)
პროცენტის გადახდა	(746)	(895)
სავალუტო გადაფასება	1	(27)
საბოლოო ნაშთი_31 დეკემბერი	7,514	6,495

20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ათასობით ლარში_ '000 GEL)	31.12.2018	31.12.2017
სავაჭრო დავალიანება	6,135	7,034
კრედიტორული დავალიანება	160	653
სხვა დავალიანება	312	144
	6,607	7,831

ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდობის რისკების შესახებ მოცემულია შენიშვნა 22-ში.

21. საგადასახადო ვალდებულებები (წმინდა)

(ათასობით ლარში_ '000 GEL)	31.12.2018	31.12.2017
დამატებითი ღირებულების გადასახადი	390	593
აქციზის გადასახადი	199	293
საშემოსავლო გადასახადი	60	69
განაწილებული მოგების გადასახადი	58	-
არა-რეზიდენტის საშემოსავლო	2	18
მოგების გადასახადი	-	(20)
ქონების გადასახადი	(1)	-
სხვა გადასახადები	55	42
	763	995

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შედარების აქტის მიხედვით, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ერიცხება ზედმეტობა 52 ათასი ლარის ოდენობით. განსხვავება გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ კომპანია იმპორტირებულ საქონელზე შესაბამის საგადასახადო ვალდებულებებს არიცხავს მარაგების განბაჟებისას, ბალანსზე აღიარებისთანავე, ხოლო შემოსავლების სამსახური 30 დღის შემდეგ, რადგან კომპანია ირიცხებოდა ეგრედ წოდებულ "ოქროს სიაში" და იმპორტირებულ საქონელზე გადასახადების გადახდის ვალდებულება უდგება 30 დღის შემდგომ. აღნიშნული წესი გაუქმდა 2019 წლის ივლისიდან.

22. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. შესაბამისად, რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მენეჯმენტის საქმიანობაში და არის კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. კომპანია არ ფლობს ცვალებად-პროცენტიან ფინანსურ ინსტრუმენტებს. ასევე, არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. კომპანია ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

- (i) საკრედიტო რისკი
- (ii) საბაზრო რისკი
- (iii) ლიკვიდობის რისკი

(i) საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რომელიმე მხარე ვერ შეძლებს დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიადგება ფინანსური ზარალი.

კომპანიის მაქსიმალურ რისკდამოკიდებულებას წარმოადგენს შემდეგი ფინანსური აქტივები:

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	31.12.2018	31.12.2017
გაცემული სესხები	4,195	4,712
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,645	12,228
ფულადი სახსრები	768	803
	15,608	17,743

გაცემული სესხები

გაცემული სესხები წარმოადგენს ინდივიდუალურად მნიშვნელოვან ნაშთს ვინაიდან გაცემულია მხოლოდ ერთ მსესხებელზე და ქმნის მაღალ კონცენტრაციასთან დაკავშირებულ რისკებს. შესაბამისად, ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის, ხელმძღვანელობა ახდენს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის ანალიზს, რათა შეაფასოს მიმდინარე და სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება და განსაზღვროს გაუფასურების რეზერვი.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ მსესხებელზე რეზერვის საჭიროება არ არის.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გეოგრაფიული კონცენტრაცია თითქმის სრულიად დაკავშირებულია საქართველოს რეზიდენტ კომპანიებთან. საკრედიტო რისკი იმართება ხანდაზმულობის ანალიზით, გადახდისუნარიანობის შეფასებით ან/და სხვადასხვა სახის ანალიზით. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისტორიული გამოცდილებიდან და ინდუსტრიის პრაქტიკიდან გამომდინარე, 1 წლამდე ვადაგადაცილებული დებიტორები ნორმალური მდგომარეობაა და არ საჭიროებს ანარიცხებს, ხოლო 1 წელზე ან მეტზე ხანდაზმულ დებიტორულ ნაშთებზე ქმნის საექვო ვალების რეზერვს 100%-ის ოდენობით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ხანდაზმულობა პერიოდების ბოლოს იყო შემდეგი:

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	31.12.2018		31.12.2017	
	სრული თანხა	გაუფასურე ბის რეზერვი	სრული თანხა	გაუფასურე ბის რეზერვი
გადაუხდელია 0-365 (დღე)	8,739	-	10,623	-
გადაუხდელია 365> (დღე)	1,906	(1,906)	1,605	(1,605)
	10,645	(1,906)	12,228	(1,605)

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრების ჭარბი ნაშთი განთავსებულია საქართველოს რეზიდენტ ბანკში, რომელსაც დეპონირების თარიღისთვის ჰქონდა დეფოლტის მინიმალური რისკი. საერთაშორისო ავტორიტეტული სარეიტინგო ორგანიზაციის „სტანდარტ & პურსის“ ბოლო შეფასების მიხედვით აღნიშნულ ბანკს მიენიჭა BB- (სტაბილური) სტატუსი.

(ii) საბაზრო რისკი

კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საფინანსო საქმიანობიდან.

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. ძირითადი უცხოური ვალუტების კურსის ცვლილება მოქმედებს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

სავალუტო რისკი

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა წარმოებს ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები წარმოიქმნება უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის შედეგად, რაც ძირითადად არის აშშ დოლარში და ევროში. კომპანიას ასევე ქონდა სესხები უცხოურ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები რომლებიც კომპანიას უქმნიან საკურსო რისკს, განხილულია ქვემოთ. თანხები მოცემულია ექვივალენტ ლარებში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსებით.

(ათასობით ლარში_ '000
GEL)

	31.12.2018		31.12.2017	
	დოლარი	ევრო	დოლარი	ევრო
ფულადი სახსრები	5	94	23	488
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	203	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,254)	(431)	(2,398)	(389)
სასესხო ვალდებულებები	(1,357)	(61)	(1,448)	(67)
წმინდა პოზიცია	(3,606)	(398)	(3,620)	32

სენსიტიურობის ანალიზი

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში ლარის კურსის შესაძლო ცვლილების გავლენა წმინდა მოგებაზე, სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობით:

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	31.12.2018		31.12.2017	
	დოლარი	ევრო	დოლარი	ევრო
10%-იანი გაუფასურება	(361)	(40)	(362)	3
10%-იანი გამყარება	361	40	362	(3)

(iii) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების მეშვეობით. კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები ძირითადად სავაჭრო მომწოდებლების მიმართ აქვს. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ გრძელვადიან საბანკო და სხვა სასესხო პროდუქტებზე წვდომა, კომპანიას ანიჭებს საკმარის მოქნილობას დაფარვის ვადებთან მიმართებით, რაც მომავალში აუცილებელია ბიზნესში საკმარისი ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც გაანალიზებულია დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით. ვადების ცხრილში ნაჩვენებია თანხები წარმოადგენს ფულადი სახსრების სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ნაკადებს.

გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით.

არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სასესხო ვალდებულებები	5,505	2,009	-	7,514
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,607	-	-	6,607
საგადასახადო ვალდებულებები (წმინდა)	763	-	-	763
სულ მომავალი გადახდები	12,875	2,009	-	14,884

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სასესხო ვალდებულებები	1,801	4,694	-	6,495
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,831	-	-	7,831
საგადასახადო ვალდებულებები (წმინდა)	995	-	-	995
სულ მომავალი გადახდები	10,627	4,694	-	15,321

23. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

კომპანია თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში მომწოდებლების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით ხდება ფინანსური ინსტრუმენტების გარეგანსური რისკების მონაწილე. აღნიშნული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ხარისხის საკრედიტო რისკს, არ არის ასახული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. კომპანია გარესგანსურ ვალდებულებებთან მიმართებაში იმავე საკრედიტო და მართვის პოლიტიკით ხელმძღვანელობს, რომელსაც იყენებს საბალანსო ოპერაციებში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ერიცხება გაცემული საბანკო გარანტია 669 ათასი ლარის ოდენობით (250 ათასი დოლარი) რომლის ამოწურვის ვადაა 2019 წლის ივლისი. გარანტიის საპროცენტო განაკვეთია 2%.

24. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი დირექტორი, დამფუძნებლები, და სხვა დაკავშირებული კომპანიები ბასს 24-ის შესაბამისად. კომპანიაზე საბოლოო ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი პირი არის დირექტორი და თანადამფუძნებელი ბატონი ალექო ხომერიკი.

ტრანზაქციები ძირითად ხელმძღვანელობასთან

წლის განმავლობაში, გადაწყვეტილების მიმღები ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული სახელფასო ანაზღაურება იყო შემდეგი:

(ათასობით ლარში_ '000 GEL)	2018	2017
ხელფასები და ბონუსები	77	75
	77	75

საბალანსო ნაშთების შესახებ ინფორმაციის სანახავად იხილეთ შენიშვნა 14.

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან მოცემული ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო პერიოდებში არ ფიქსირდება.

25. გამოცემული ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ მოცემულია ის ახალი სტანდარტები, შესწორებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც მოცემული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოქვეყნებულია მაგრამ ძალაში შედის 2019 წლის 1-ლი იანვრიდან ან მის შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში.

ხელმძღვანელობა მოელის, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტი იქნება დანერგილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მათი ძალაში შესვლის შემდეგ პირველივე სააღრიცხვო პერიოდში.

ქვემოთ მოყვანილია ინფორმაცია მხოლოდ იმ ახალ სტანდარტებზე, შესწორებებსა და ინტერპრეტაციებზე, რომლებიც შეესაბამება კომპანიის ოპერაციებსა და ანგარიშგებებს.

ფასს 16 „იჯარა“

ფასს 16 აწესებს ახალ მოთხოვნებს იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით. ძალაში შედის 2019 წლის 1-ლი იანვრიდან და ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ არსებულ ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს. ვადაზე ადრე გამოყენება დაშვებულია იმ შემთხვევაში თუ კომპანიამ უკვე დანერგა ფასს 15.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით ნებისმიერი იჯარის შემთხვევაში, გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი (იჯარით აღებული ქონება) და შესაბამისი ვალდებულება (საიჯარო ვალდებულება) უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა როგორც საბალანსო მუხლები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. აღნიშნული არ ეხება დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

იჯარის მიმღების მხარეს არსებული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16-ში იჯარის გამცემის მხრიდან აღრიცხვიანობის პრინციპები ბასს 17-თან შედარებით მნიშვნელოვანწილად იგივეა. აქაც იჯარის გამცემი მოვალეა, იჯარა ან საოპერაციო იჯარად ჩათვალოს ან ფინანსურ იჯარად.

კომპანია გეგმავს დანერგოს ახალი სტანდარტი შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდიდან. ხელმძღვანელობა მოელის, რომ აღნიშნულ სტანდარტს ექნება მნიშვნელოვანი ეფექტი კომპანიის საიჯარო სააღრიცხვო პოლიტიკაზე.



შპს კანტი

მმართველობითი ანგარიშგება

*2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს კანტის მფლობელებსა და ხელმძღვანელებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს კანტის (შემდგომში „კომპანია“) მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კომპანიის 2018 წლის შედეგების მიმოხილვას, ინდუსტრიაში არსებულ გამოწვევებს და კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმებს.

ჩვენი აზრით, მმართველობითი ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და ასევე 2018 წლის აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის ნინო სამხარაძე.

ნინო სამხარაძე (რეგ. № SARAS-A-425114)

შპს „ფინანსური ოფისის“ სახელით (რეგ. № SARAS-F-802337)

6 იანვარი 2020 წ.



FINANCIAL OFFICE
ACCOUNTING & ADVISORY

A member of



Independent legal & accounting firms

შპს კანტი

მმართველობითი ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს კანტის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს კანტის (შემდგომში „კომპანია“) მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კომპანიის 2018 წლის შედეგების მიმოხილვას, ინდუსტრიაში არსებულ გამოწვევებს და კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმებს.

ჩვენი აზრით, მმართველობითი ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და ასევე 2018 წლის აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის ნინო სამხარაძე.

ნინო სამხარაძე

ნინო სამხარაძე (რეგ. № SARAS-A-425114)

შპს „ფინანსური ოფისის“ სახელით (რეგ. № SARAS-F-802337)

6 იანვარი 2020 წ.

გასული წლის შეჯამება

„მუდმივად ცვლად გარემოში ჩვენ განვაგრძობთ ადაპტირებას თანამედროვე მოთხოვნებთან და ვიცვლებით ყოველდღიურ რეჟიმში რომ განვახორციელოთ ჩვენი მთავარი მისია - მივაწოდოთ მომხმარებელს პრემიუმ ხარისხის პროდუქტები.“

დირექტორი

ალეკო ხომერიკი

2018 წელი დაკავშირებული იყო არაერთ გამოწვევასთან და სირთულესთან, რომელმაც ნათლად აჩვენა რადიკალური ცვლილებების საჭიროება. ჩვენთვის, როგორც იმპორტიორი კომპანიისთვის, უკიდურესად მნიშვნელოვანია სტაბილური სავალუტო გარემო. ქართული ლარის საგრძნობი გაუფასურება ევროსა და აშშ დოლართან მიმართებაში ინდიკატორია იმისა, რომ დროა შევცვალოთ სტრატეგია მომდევნო წლისთვის და განვსაზღვროთ ახალი პრიორიტეტები და სამუშაო პროცესები. წლის პირველ ნახევარში არსებულმა სავალუტო რყევებმა დაგვანახა საჭიროება, წლის მეორე ნახევრიდანვე გადაგვეხედა მიდგომებისთვის. განხორციელებულმა ცვლილებებმა წლის ბოლოსთვის გამოიღო დადებითი შედეგი და საშუალება მოგვცა წელი მოგვებით დაგვესრულებინა.

2016 წლიდან კომპანია კანტი წარმოადგენს არა მხოლოდ ადგილობრივ სადისტრიბუციო კომპანიას, არამედ რეგიონის მოთამაშესაც. საერთაშორისო კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე შპს „კანტი“ ფარავს ყოფილი საბჭოთა კავშირში შემავალ ქვეყნებს, რომელთა შორისაც არის: აზერბაიჯანი, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთის რესპუბლიკა, თურქმენეთი და უკრაინა, ასევე მონღოლეთს. კომპანია ფლობს პრემიალური ალკოჰოლის წარმომადგენლის და დისტრიბუტორის სტატუსს მოცემულ ქვეყნებში, სადაც ის რამოდენიმე წელია წარმატებით ოპერირებს.

სტატუსის მოპოვებას ხელი მნიშვნელოვნად შეუწყო ქვეყანაში არსებულმა ბიზნეს გარემომ, გამჭირვალე საბანკო სისტემამ და ეკონომიკურმა სტაბილურობამ. ექსპორტზე ორიენტირებულმა საკანონმდებლო ბაზამ, მიმზიდველი გახადა ჩვენი ქვეყანა და კომპანია უცხოელი მწარმოებლებისთვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ოპერირება ბაზრებზე, რომლებიც მენტალობით და კანონმდებლობით საგრძნობლად განსხვავებულია მათი ძირითადი სამუშაო ბაზრებისგან.

ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებასთან ერთად წლების მანძილზე იცვლებოდა კომპანიის პროდუქტების ასორტიმენტი, რომლითაც ის ოპერირებდა საქართველოს ბაზარზე. თუ გასულ წლებში კომპანიის ძირითად ასორტიმენტს შეადგენდა ხორცი და ხორცპროდუქტები (იმპორტირებული გაყინულ მდგომარეობაში), საქართველოს ბაზარზე მეცხოველეობის და მეფრინველეობის განვითარებასთან ერთად ეტაპობრივად ხდებოდა მიდგომების და ასორტიმენტის ჩანაცვლება, კერძოდ კომპანიამ განავითარა ნატურალური წვენების, ენერგეტიკული სასმელების, მაღალ და დაბალ ალკოჰოლის შემცველობის სასმელების და კვების სხვა პროდუქტების მიმართულებები. მომხმარებელთა შესაძინევი

სტაბილურობიდან გამომდინარე, კანტი ავითარებს მაღალი საფასო სეგმენტის პროდუქტებს, რომლებზეც სავალუტო რისკები და მსყიდველობითი უნარი ნაკლებად აისახება.

კომპანიაში პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება დისტრიბუციის მეთოდით, რომელიც გულისხმობს მის იმპორტს, სასაწყობო მეურნეობაში განთავსებას და მიწოდებას სავაჭრო ობიექტებისთვის. რეგიონებში ეს პროცესები იმართება პარტნიორების მეშვეობით, კერძოდ მცირე და საშუალო ზომის სადისტრიბუციო რეგიონალური კომპანიების გამოყენებით, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის მიწოდების სავაჭრო ობიექტებისთვის.

აღსანიშნავია, რომ რეგულაციებმა და აღრიცხვიანობის გაუმჯობესებამ, ხელი შეუწყო ბაზარზე სამუშაო პროცესის განხორციელებას.

2019 წელს ჩვენი მოლოდინია კვლავინდებურად მკვეთრად გაჯერებული კონკურენტული და სწრაფად მზარდი გარემო. ორგანიზებული ვაჭრობა, წამოდგენილი ქსელური მარკეტების სახით, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, რაც მომდევნო რამდენიმე წლის მანძილზე კვლავინდებურად მოსალოდნელია. ჩვენმა ბიზნეს მოდელმა არაერთხელ აჩვენა, რომ კომპანია კარგად არის მომზადებული გამოწვევებისთვის და სწრაფად ადაპტირებადია ცვალებად გარემოსთან. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ გვაქვს სწორი ბრენდები, ადამიანური რესურსი და ფოკუსირება ეფექტურობაზე.

დირექტორი

ალეკო ხომერიკი

1. განვითარების გეგმები

სავაჭრო ქსელების განვითარებამ, მნიშვნელოვნად გაზარდა დანახარჯები სადისტრიბუციო ბიზნესში. ფასდაკლებები, სხვა და სხვა ტიპის გადასახადები და კონკურენცია ქსელური მარკეტებს შიგნით, ამცირებს სადისტრიბუციო ბიზნესის მომგებიანობას და უახლოვებს მას ევროპული ტიპის კომპანიებისას, სადაც განვითარების მიმდინარე ეტაპზე, კომპანიები წარმოდგენილი არიან როგორც მომსახურების გამწვევი ორგანიზაციები, ლოგისტიკური და სადისტრიბუციო მომსახურების მიმწოდებლები მწარმოებლებისთვის და არა იმპორტიორ-დისტრიბუტორები, როგორც ეს ჯერ კიდევ საქართველოშია. რადგან, არსებობს განვითარების ცნობილი საფეხურები, ჩვენი მიზანია მომდევნო წლების მანძილზე მოვამზადოთ კომპანია მოსალოდნელი ცვლილებებისთვის იმის გათვალისწინებით, რომ შევინარჩუნებთ მაღალ მომგებიანობას.

2019 წლის მანძილზე, კომპანია გეგმავს განავითაროს საკუთარი ფილიალები საქართველოს ყველა მსხვილ რეგიონში. ჩვენ წარმოდგენილნი ვიქნებით საკუთარი ადამიანური რესურსით, სასაწყობო მეურნეობებითა და სხვა საჭირო ინსტრუმენტებით, რაც ერთდროულად რამოდენიმე მიმდინარე და სამომავლო გეგმის განხორციელებას შეუწყობს ხელს.

მნიშვნელოვანია იმ ასორტიმენტის ზრდა რეგიონებში, რომელიც დღემდე არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ პარტიორების დახმარებით განხორციელებული რეგიონალური დისტრიბუციის დროს, ყველა პროდუქტი არ იძლეოდა შესაძლებლობას მისი მომგებიანობიდან გამომდინარე ყოფილიყო მათ სავაჭრო პორტფელში, რაც ძირითადი კომპანიისთვის - კანტი-სთვის მნიშვნელოვანი დანაკარგია. სუბ-დისტრიბუტორებისთვის, მნიშვნელოვანია სწრაფად ბრუნვადი და მაღალი მომგებიანობის მქონე პროდუქტების რეალიზაცია, რის გამოც კომპანიის ასორტიმენტი არ არის სრულად წარმოდგენილი საქართველოს რეგიონებში.

ფილიალების განვითარება ხელს შეუწყობს ასორტიმენტის ზრდას რეგიონში, ასევე კომპანიის მომგებიანობის მნიშვნელოვან ზრდას მომდევნო ორი წლის მანძილზე, სანამ სრულად მოხდება მათი განვითარება.

2. ფილიალები და განვითარება

2019 წლიდან, კანტი გეგმავს ოთხი ძირითადი მიმართულებით განვითარებას:

აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთისა და შიდა ქართლის მიმართულებით, ხოლო დასავლეთ საქართველოში აჭარისა და იმერეთის მიმართულებით. იგეგმება ფილიალების გახსნა, რომელიც აღიჭურვება თანამედროვე ტექნოლოგიებით. ძირითადი ფუნქციის შესრულებასთან ერთად, რაც გულისხმობს სავაჭრო ობიექტების მომსახურებას, ეტაპობრივად მოხდება მომდევნო წლებში მათი გარდაქმნა ლოგისტიკურ ცენტრებად, რომლებიდანაც მოხდება პროდუქციის და მომსახურების გაწევა, როგორც საკუთარი თავისთვის ასევე სხვა დაინტერესებული კომპანიებისთვის.

მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე ქსელური მარკეტების ზრდა, რაც საჭიროებს დროულ და მოქნილ მიწოდების ფორმას. შეზღუდული ასორტიმენტით ოპერირებადი სუბ-დისტრიბუტორებით ვერ ხერხდებოდა კორექტულ მიწოდება, რის გამოც იზრდებოდა დანახარჯები ალტერნატიული მიწოდების და მომსახურების საჭიროებიდან გამომდინარე.

მიუხედავად არასტაბილური ეკონომიკური გარემოსა, რომელიც განსაკუთრებით ლარის გაუფასურებით უქმნის საფრთხეს იმპორტიორი კომპანიების და არა მხოლოდ მშვიდ გარემოში ოპერირებას, ჩვენი კომპანია გეგმავს 2019 წელსაც განაგრძოს ახალი პარტნიორების მოძიება და მათთან თანამშრომლობა.

ჩვენი სტრატეგია საშუალებას გვაძლევს გავზარდოთ ბიზნესი დღეს, რომ ვიყოთ მომგებიანი და მიმზიდველი კომპანია, რომელსაც გააჩნია რესურსი ინვესტირება მოახდინოს საკუთარ მომავალში.

გასული წლის შეჯამება

„მუდმივად ცვლად გარემოში ჩვენ განვაგრძობთ ადაპტირებას თანამედროვე მოთხოვნებთან და ვიცვლებით ყოველდღიურ რეჟიმში რომ განვახორციელოთ ჩვენი მთავარი მისია - მივაწოდოთ მომხმარებელს პრემიუმ ხარისხის პროდუქტები.“

დირექტორი

ალეკო ხომერიკი

2018 წელი დაკავშირებული იყო არაერთ გამოწვევასთან და სირთულესთან, რომელმაც ნათლად აჩვენა რადიკალური ცვლილებების საჭიროება. ჩვენთვის, როგორც იმპორტიორი კომპანიისთვის, უკიდურესად მნიშვნელოვანია სტაბილური სავალუტო გარემო. ქართული ლარის საგრძნობი გაუფასურება ევროსა და აშშ დოლართან მიმართებაში ინდიკატორია იმისა, რომ დროა შევცვალოთ სტრატეგია მომდევნო წლისთვის და განვსაზღვროთ ახალი პრიორიტეტები და სამუშაო პროცესები. წლის პირველ ნახევარში არსებულმა სავალუტო რყევებმა დაგვანახა საჭიროება, წლის მეორე ნახევრიდანვე გადაგვეხედა მიდგომებისთვის. განხორციელებულმა ცვლილებებმა წლის ბოლოსთვის გამოიღო დადებითი შედეგი და საშუალება მოგვცა წელი მოგვით დაგვესრულებინა.

2016 წლიდან კომპანია კანტი წარმოადგენს არა მხოლოდ ადგილობრივ სადისტრიბუციო კომპანიას, არამედ რეგიონის მოთამაშესაც. საერთაშორისო კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე შპს „კანტი“ ფარავს ყოფილი საბჭოთა კავშირში შემავალ ქვეყნებს, რომელთა შორისაც არის: აზერბაიჯანი, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთის რესპუბლიკა, თურქმენეთი და უკრაინა, ასევე მონღოლეთს. კომპანია ფლობს პრემიალური ალკოჰოლის წარმომადგენლის და დისტრიბუტორის სტატუსს მოცემულ ქვეყნებში, სადაც ის რამოდენიმე წელია წარმატებით ოპერირებს.

სტატუსის მოპოვებას ხელი მნიშვნელოვნად შეუწყო ქვეყანაში არსებულმა ბიზნეს გარემომ, გამჭვირვალე საბანკო სისტემამ და ეკონომიკურმა სტაბილურობამ. ექსპორტზე ორიენტირებულმა საკანონმდებლო ბაზამ, მიმზიდველი გახადა ჩვენი ქვეყანა და კომპანია უცხოელი მწარმოებლებისთვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ოპერირება ბაზრებზე, რომლებიც მენტალობით და კანონმდებლობით საგრძნობლად განსხვავებულია მათი ძირითადი სამუშაო ბაზრებისგან.

ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებასთან ერთად წლების მანძილზე იცვლებოდა კომპანიის პროდუქტების ასორტიმენტი, რომლითაც ის ოპერირებდა საქართველოს ბაზარზე. თუ გასულ წლებში კომპანიის ძირითად ასორტიმენტს შეადგენდა ხორცი და ხორცპროდუქტები (იმპორტირებული გაყინულ მდგომარეობაში), საქართველოს ბაზარზე მეცხოველეობის და მეფრინველეობის განვითარებასთან ერთად ეტაპობრივად ხდებოდა მიდგომების და ასორტიმენტის ჩანაცვლება, კერძოდ კომპანიამ განავითარა ნატურალური წვენების, ენერგეტიკული სასმელების, მაღალ და დაბალ ალკოჰოლის შემცველობის სასმელების და კვების სხვა პროდუქტების მიმართულებები. მომხმარებელთა შესამჩნევი

კომპანიაში პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება დისტრიბუციის მეთოდით, რომელიც გულისხმობს მის იმპორტს, სასაწყობო მეურნეობაში განთავსებას და მიწოდებას სავაჭრო ობიექტებისთვის. რეგიონებში ეს პროცესები იმართება პარტნიორების მეშვეობით, კერძოდ მცირე და საშუალო ზომის სადისტრიბუციო რეგიონალური კომპანიების გამოყენებით, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის მიწოდების სავაჭრო ობიექტებისთვის.

2019 წელს ჩვენი მოლოდინია კვლავინდებურად მკვეთრად გაჯერებული კონკურენტული და სწრაფად მზარდი გარემო. ორგანიზებული ვაჭრობა, წამოდგენილი ქსელური მარკეტების სახით, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, რაც მომდევნო რამდენიმე წლის მანძილზე კვლავინდებურად მოსალოდნელია. ჩვენმა ბიზნეს მოდელმა არაერთხელ აჩვენა, რომ კომპანია კარგად არის მომზადებული გამოწვევებისთვის და სწრაფად ადაპტირებადია ცვალებად გარემოსთან. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ გვაქვს სწორი ბრენდები, ადამიანური რესურსი და ფოკუსირება ეფექტურობაზე.

1. განვითარების გეგმები

სავაჭრო ქსელების განვითარებამ, მნიშვნელოვნად გაზარდა დანახარჯები სადისტრიბუციო ბიზნესში. ფასდაკლებები, სხვა და სხვა ტიპის გადასახადები და კონკურენცია ქსელური მარკეტებს შიგნით, ამცირებს სადისტრიბუციო ბიზნესის მომგებიანობას და უახლოვებს მას ევროპული ტიპის კომპანიებისას, სადაც განვითარების მიმდინარე ეტაპზე, კომპანიები წარმოდგენილი არიან როგორც მომსახურების გამწევი ორგანიზაციები, ლოგისტიკური და სადისტრიბუციო მომსახურების მიმწოდებლები მწარმოებლებისთვის და არა იმპორტიორ-დისტრიბუტორები, როგორც ეს ჯერ კიდევ საქართველოშია. რადგან, არსებობს განვითარების ცნობილი საფეხურები, ჩვენი მიზანია მომდევნო წლების მანძილზე მოვამზადოთ კომპანია მოსალოდნელი ცვლილებებისთვის იმის გათვალისწინებით, რომ შევინარჩუნებთ მაღალ მომგებიანობას.

2019 წლის მანძილზე, კომპანია გეგმავს განვითაროს საკუთარი ფილიალები საქართველოს ყველა მსხვილ რეგიონში. ჩვენ წარმოდგენილნი ვიქნებით საკუთარი ადამიანური რესურსით, სასაწყობო მეურნეობებითა და სხვა საჭირო ინსტრუმენტებით, რაც ერთდროულად რამოდენიმე მიმდინარე და სამომავლო გეგმის განხორციელებას შეუწყობს ხელს.

მნიშვნელოვანია იმ ასორტიმენტის ზრდა რეგიონებში, რომელიც დღემდე არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ პარტიორების დახმარებით განხორციელებული რეგიონალური დისტრიბუციის დროს, ყველა პროდუქტი არ იძლეოდა შესაძლებლობას მისი მომგებიანობიდან გამომდინარე ყოფილიყო მათ სავაჭრო პორტფელში, რაც ძირითადი კომპანიისთვის - კანტი-სთვის მნიშვნელოვანი დანაკარგია. სუბ-დისტრიბუტორებისთვის, მნიშვნელოვანია სწრაფად ბრუნვადი და მაღალი მომგებიანობის მქონე პროდუქტების რეალიზაცია, რის გამოც კომპანიის ასორტიმენტი არ არის სრულად წარმოდგენილი საქართველოს რეგიონებში.

ფილიალების განვითარება ხელს შეუწყობს ასორტიმენტის ზრდას რეგიონში, ასევე კომპანიის მომგებიანობის მნიშვნელოვან ზრდას მომდევნო ორი წლის მანძილზე, სანამ სრულად მოხდება მათი განვითარება.

2. ფილიალები და განვითარება

2019 წლიდან, კანტი გეგმავს ოთხი ძირითადი მიმართულებით განვითარებას:

აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთისა და შიდა ქართლის მიმართულებით, ხოლო დასავლეთ საქართველოში აჭარისა და იმერეთის მიმართულებით. იგეგმება ფილიალების გახსნა, რომელიც აღიჭურვება თანამედროვე ტექნოლოგიებით. ძირითადი ფუნქციის შესრულებასთან ერთად, რაც გულისხმობს სავაჭრო ობიექტების მომსახურებას, ეტაპობრივად მოხდება მომდევნო წლებში მათი გარდაქმნა ლოგისტიკურ ცენტრებად, რომლებიდანაც მოხდება პროდუქციის და მომსახურების გაწევა, როგორც საკუთარი თავისთვის ასევე სხვა დაინტერესებული კომპანიებისთვის.

მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე ქსელური მარკეტების ზრდა, რაც საჭიროებს დროულ და მოქნილ მიწოდების ფორმას. შეზღუდული ასორტიმენტით ოპერირებადი სუბ-დისტრიბუტორებით ვერ ხერხდებოდა კორექტულ მიწოდება, რის გამოც იზრდებოდა დანახარჯები ალტერნატიული მიწოდების და მომსახურების საჭიროებიდან გამომდინარე.

მიუხედავად არასტაბილური ეკონომიკური გარემოსა, რომელიც განსაკუთრებით ლარის გაუფასურებით უქმნის საფრთხეს იმპორტიორი კომპანიების და არა მხოლოდ მშვიდ გარემოში ოპერირებას, ჩვენი კომპანია გეგმავს 2019 წელსაც განაგრძოს ახალი პარტნიორების მოძიება და მათთან თანამშრომლობა.

ჩვენი სტრატეგია საშუალებას გვაძლევს გავზარდოთ ბიზნესი დღეს, რომ ვიყოთ მომგებიანი და მიმზიდველი კომპანია, რომელსაც გააჩნია რესურსი ინვესტირება მოახდინოს საკუთარ მომავალში.